ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სოციალური მუშაობა

ხატია გორგიშელი

სიღარიბე და სოციალური მუშაკის როლი

ნაშრომი შესრულებულია სოციალური მუშაობის ბაკალავრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: თამარ მახარაძე, ასოცირებული პროფესორი

თბილისი 2024

სარჩევი

ანოტაცია 3
შესავალი 4
როგორია სიღარიბის გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე 9
როგორია სიღარიბის გავლენა ოჯახურ ცხოვრებაზე 11
როგორია სიღარიბის გავლენა განათლებასა და დასაქმებაზე 14
რა როლს ასრულებს სოციალური მუშაკი სიღარიბისგან თავის დაღწევის პროცესში 19
დასკვნა 24
ბიბლიოგრაფია 26

ანოტაცია

სიღარიბე და მასთან დაკავშირებული პრობლემები კვლავ აქტუალურობას არ კარგავს და ერთ-ერთ საკმაოდ რთულად სამართავ პრობლემას წარმოადგენს, როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ. მოცემული კვლევის მიზანს წარმოადგენს, იმის განსაზღვრა თუ რა უარყოფითი გავლენის მოხდენა შეუძლია მძიმე ეკონომიკურ პირობებში ცხოვრებას ადამიანის
 მდგომარეობაზე, როგორ შეიძლება იქნას დაძლეული ან შემსუბუქებული ამ პრობლემის სიმძაფრე და რა როლი აქვს აღნიშნულ პროცესში სოციალური მუშაკის ჩართულობას. ნაშრომში წარმოდგენილია სხვადასხვა რელევანტური ლიტერატურა და სტატისტიკური მონაცემები.
კვლევაში სხვადასხვა ლიტერატურაზე დაყრდნობით ნათლად არის წარმოდგენილი სიღარიბის ნეგატიური გავლენები, ის თუ რა შეზღუდვების წრეში შეიძლება აღმოჩნდეს ადამიანი ეკონომიკური სტატუსის ზემოქმედებით და სოციალური მუშაკების მიერ რა მიდგომები, სტრატეგიებია გამოყენებული სიღარიბის პრევენციის პროცესში

შესავალი

სიღარიბესთან გამკლავება კვლავ გადაუჭრელ პრობლემას წარმოადგენს.იქამდე სანამ სიღარიბეზე, როგორც ერთ-ერთ პრობლემაზე საუბარს დავიწყებდეთ საჭიროა განვმარტოთ თუ რა მოიაზრება აღნიშნული ტერმინის მიღმა- მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის თანახმად სიღარიბე განიმარტება, როგორც შემოსავლის დაბალი მაჩვენებელი, რომელიც განსაზღვრულია დღეში 2აშშ დოლარზე ნაკლებით და გავლენას ახდენს ინდივიდის კეთილდღეობაზე(WHO). აქვე საჭიროა კეთილდღეობაც განიმარტოს, როდესაც ცალკეული პირის,ინდივიდის კეთილდღეობაზე ვსაუბრობთ, იგი განიმარტება, როგორც ადამიანის წარმატებული სოციალური მდგომარეობა და მისი საჭიროებების დაკმაყოფილების უნარი (Dictionary,W.1913) ხოლო თუ კეთილდღეობის ტერმინს ადამიანთა ფართო ჯგუფს მოვარგებთ უფრო მეტად გაიზრდება კეთილდღეობის განმარტებისა და მისი შეფასების სირთულე (კაპანაძე, კაკულია, ქურხული, 2017).

სიღარიბის პირდაპირი გაგება არის პიროვნების უუნარობა დაიკმაყოფილოს ძირითადი საჭიროებები,მაგალითად, ისეთი როგორიც არის საკვები, ტანსაცმელი, თავშესაფარი, სხვადასხვა სერვისებზე ხელმისაწვდომობა- განათლება, ჯანდაცვა(Unated Nation,2020). მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სიღარიბის განსაზღვრება სცდება მატერიალურ საჭიროებებს და იგი მოიცავს ისეთ პრობლემებს,როგორიც არის გარიყულობა, უძლურება, დაბალი თვითშეფასება და რაც მთავარია არ არსებობა სხვადასხვა საბაზისო უნარების, შესაძლებლობების, რომელიც დაეხმარება ინდივიდს, რომ თავი საზოგადოების ნაწილად იგრძნოს და ინტეგრირდეს(UNDP 1999). გაერო სიღარიბეს განსაზღვრავს აბსოლუტური და შედარებითი სიღარიბის ცნებებით, რომლის თანახმადაც აბსოლუტურ სიღარიბეში მოიაზრება საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილების უნარიანობა, მაგალითად საკვები, ტანსაცმელი და

თავშესაფარი, ხოლო, რაც შეეხება შედარებით სიღარიბეს, იგი განისაზღვრება ინდივიდის სოციო-ეკონომიკური სტატუსის მიხედვით(UN, 2019).

სიღარიბეში მყოფი მოსახლეობა რთულად ახერხებს სიღარიბისგან თავის დაღწევას, რადგან მათ აქვთ არასათანადო ხელმისაწვდომობა ძირითად, საჭირო სერვისებზე მაგალითად, როგორიცაა განათლება, ჯანდაცვა,აღნიშნული მდგომარეობა გამოწვეულია ღარიბებსა და მდიდრებს შორის დღითიდღე მზარდი უთანასწორობით(Asingwire, Kafuko, Omana, Twikirize, 2013).

სოციალური მუშაკის როლი დღითიდღე უფრო და უფრო აღიარებული ხდება სოციალური განვითარების თვალსაზრისით. სოციალურ მუშაკებს დიდი წვლილი შეაქვთ სიღარიბის წინააღმდეგ ბრძოლაში, რადგან ეს უკანასკნელი დიდ უარყოფით გავლენას ახდენს ინდივიდების კეთილდღეობაზე სოციუმში და იმ გარემოში, რომელშიც ცხოვრობენ (Asingwire et al. 2013) .სოციალური მუშაობის ერთ-ერთი ძირითად მიმართულებად ითვლება მუშაობა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მოსახლეობასთან, მაშინ, როდესაც სოციალური მუშაკი მუშაობს აღნიშნულ ჯგუფთან მნიშვნელოვანია, რომ მან საკუთარი თავი საზოგადოების ამ ნაწილის ადგილას დააყენოს, რათა ნათლად დაინახოს მათი მდგომარეობა და ობიექტურად შეაფასოს ის გარემო-პირობები, რომელშიც უწევთ ცხოვრება , სოციალურმა მუშაკმა უნდა გამოიყენოს საკუთარი უნარები და კომპეტენციები, უნდა უზრუნველყონ ამ ადამიანების სხვადასხვა აქტივობებში ჩართვა, რაც დაეხმარება მათ რომ შეცვალონ საკუთარი მძიმე ყოფა, თავი საზოგადოების ნაწილად იგრძნონ და გაიუმჯობესონ ცხოვრების ხარისხი (Strydom, Tlhojane,2014).

საერთაშორისო სიღარიბის საზღვრები 2022 წელს შეიცვალა, რომელიც შესაძლოა შემდეგი სახით წარმოვადგინოთ: უკიდურესი სიღარიბე-რომელიც განისაზღვრება 2.15 დოლარით დღეში, საშუალოზე დაბალი შემოსავლი-განისაზღვრება 3.65 დოლარით დღეში და საშუალოზე მაღალი შემოსავალი, რომელიც გულისხმობს 6.85 დოლარს(World Bank,2022). საშუალოდ კი 333

მილიონი ბავშვი მსოფლიოს მასშტაბით ცდილობს,რომ თავი გადაირჩინოს 2,15 დოლარზე ნაკლებით დღეში, 829 მილიონი ბავშვისთვის დღიური დანახარჯი 3.65 დოლარს შეადგენს, ხოლო 1.43 მილიარდი ბავშვი 6.85 დოლარზე ნაკლებს ხარჯავს (World Bank,2022). მსოფლიო ბანკის მონაცემების თანახმად 2020-2022 წლების პერიოდი ერთ-ერთი მძიმე პერიოდი იყო კაცობრიობის ისტორიაში ეკონომიკური თვალსაზრისით, რადგან Covid 19-ის პანდემიამ, ინფლაციამ და უკრაინის ომმა კიდევ უფრო მეტად გაამწვავა ეკონომიკური პრობლემები და გაზარდა სიღარიბის მაჩვენებელი(2022). იუნისეფის ანგარიშის თანახმად, რომელიც გამოქვეყნდა 2023 წლის 5 დეკემბერს აჩვენებს, რომ მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე მდიდარი ქვეყნების მაცხოვრებელი ბავშვებიდან 69 მილიონი ბავშვი სიღარიბეში ცხოვრობს(unicef, 2023), მაგრამ წინა უახლოესი წლების მაჩვენებლებს რომ გადავავლოთ თვალი მდგომარეობა შედარებით გაუმჯობესებულია, რადგან ევროპისა და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის 40 ქვეყნის მაჩვენებლების თანახმად 6 მილიონით ნაკლები ბავშვი განიცდის ეკონომიკური პრობლემების ზეგავლენას 2021 წელში, ვიდრე 2014-ში(Unicef,2022).

საქართველოს მაგალითი რომ განვიხილოთ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2023 წლის 29 მაისს გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის პროცენტულ მაჩვენებელს წინა წლის მონაცემებთან თუ შვადარებთ მარტივად აღმოვაჩენთ,რომ 1,9%-ით არის შემცირებული და 15,6%-ს შეადგენს, წლების მიხედვით დინამიკა კი მოცემულია სქემაზე -,,სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (%)“. ხოლო 178 ათასი პირი სოციალური პაკეტის მიმღებად ითვლება (საქსტატი,2022).

სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (%)



(საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური,2022)

კვლევის ობიექტს წარმოადგენს იმის განსაზღვრა თუ რა გავლენას ახდენს სიღარიბე ადამიანების ცხოვრების ხარისხზე და რა როლს ასრულებს სოციალური მუშაკი ამ პროცესში, როგორ მუშაობენ სიღარიბეში მყოფ მოსახლეობასთან, რომელ მიდგომებს იყენებენ, რა პრობლემები აფერხებს მათ საქმიანობას და რა გავლენას ახდენენ ინდივიდებისა და ჯგუფების ცხოვრებაზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია განიმარტოს თუ რა იგულისხმება ცხოვრების ხარისხში. ცხოვრების ხარისხი შესაძლებელია მრავალმხრივ განიმარტოს იმის მიხედვით თუ როგორ ზომავს, აფასებს ინდივიდი საკუთარი ცხოვრების კეთილდღეობას, აღნიშნული შეფასებები კი შესაძლოა მოიცავდეს ცხოვრებისეულ მოვლენებზე ინდივიდის ემოციურ რეაქციებს, რამდენად კმაყოფილია იგი საკუთარი ცხოვრებით, პირადი ურთიერთობებით, სამსახურით და ზოგადად როგორ არის განწყობილი ამ ყველაფრის მიმართ (Diener, Suh, Lucas, Smith, 1999).

ამასთან ერთად არსებობს ცხოვრების ხარისხის საზომი სხვადასხვა ასპექტები, რომელიც ზომავს ადამიანის კმაყოფილების დონეს დასაქმებთან, პირად ურთიერთობებთან, საცხოვრებელ გარემოსთან,ცხოვრების დონესთან დაკავშირებით, რაც, რა თქმა უნდა განაპირობებს ადამიანის ცხოვრების ხარისხს (Patrick, Erickson 1993). აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ადამიანის ცხოვრების ხარისხი, რომელზეც გავლენას ახდენს ინდივიდის ჯანმრთელობის მდგომარეობა დამოუკიდებლად იზომება და ფასდება (Guyatt, Ferrans, Halyard, Revicki, Symonds, Varricchio, 2007)

კვლევის ამოცანებს წარმოადგენს იმის შესწავლა, თუ:

1. როგორია სიღარიბის გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე
2. როგორია სიღარიბის გავლენა ოჯახურ ცხოვრებაზე
3. როგორია სიღარიბის გავლენა განათლებასა და დასაქმებაზე
4. რა როლს ასრულებს სოციალური მუშაკი სიღარიბესთან გამკლავების პროცესში.

კვლევის მიმდინარეობისას, კვლევის მიზნის მისაღწევად გამოყენებული იქნება სამაგიდო კვლევა, რომლის ფარგლებშიც მოხდება მეორად მონაცემთა ანალიზი და განხილვა. აღნიშნული მეთოდი იქნება ხელსაყრელი გზა არსებული რეალობის დასანახად და საკვლევი საკითხის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად.

როგორია სიღარიბის გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე

დღესდღეობით ჯანმრთელობა უფრო მეტად მნიშვნელოვანი და აქტულაურია, ვიდრე ოდესმე. მსოფლიოს ერები თანხმდებიან, რომ ჯანმრთელობა და კეთილდღეობა ყველა ადამიანის უფლებაა განურჩევლად მათი პოლიტიკური შეხედულებისა, რასის, ეკონომიკური თუ სოციალური შესაძლებლობისა (WHO,2022).

ადამიანის ჯანმრთელობაზე გავლენას ახდენს დაბალი ეკონომიკური შემოსავალი, რადგან სწორედ ის უზღუდავს ადამიანებს სათანადო და ჯანსაღ კვებაზე ხელმისაწვდომობას. უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო სწავლისთვის, განვითარებისთვის, ცხოვრებისთვის, მუშაობისთვის, სუფთა ჰაერი, წყალი ეს და სხვა ელემენტები განსაზღვრავენ პიროვნების ცხოვრების დონეს(Siddique, Nazir, Mohey-Ud-Din,Kiani,2022) ადამიანები, რომელთაც აქვთ არასაკმარისი, დაბალი შემოსავალი ცხოვრობენ ღარიბთა დასახლებებში ამ და სხვა ფაქტორების გავლენით განიცდიან ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემებს (Yang, Zhou, Zhang, Luo, Luo, Y., Wang, 2022).

სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანები ჯანმრთელობის უფრო მწვავე პრობლემების წინაშე დგებიან და სიკვდილიანობის მაჩვენებელიც შედარებით ახალგაზრდობის წლებში ფიქსირდება (WHO,2020). ამ ყველაფრის მიზეზად კი სახელდება ჯანდაცვის სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, სოციალური დაცვის არარსებობა ან შეზღუდული ფუნქციონირება, და დაავადებათა შედარებით მაღალი მაჩვენებელი(Watkins,2016). სიღარიბის ზღვარს მყოფი ხალხისთვის ჯანმრთელობა გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელია მათი ეკონომიკური შემოსავლებისთვის, რადგან იმ შემთხვევაში თუ მათი ჯანმრთელობა უარესდება, განსაკუთრებით იმ ადამიანის, ვინც ოჯახს ფინანსურად უზრუნველყოფს ოჯახი დგება ფინანსური შემოსავლების გარეშე და ამასთან ერთად ჯანდაცვის სერვისების ხარჯების გადახდაც უწევთ, რაც მათ

ცხოვრებას კიდევ უფრო მეტად ამძიმებს(WHO,2003). იმისთვის რომ სიღარიბე იქნას დაძლეული განვითარებად ქვეყნებში სულ უფროდაუფრო აქტუალური ხდება ინვესტიცია ჯანმრთელობაში, სწორედ ჯანმრთელი მოსახლეობის საშუალებით იზრდება ქვეყანაში შრობის პროდუქტიულობა, იზრდება ასევე საგანმანათლებლო მიღწევები და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ეს ხელს უწყობს დემოგრაფიულ ზრდას (WHO,2003). ისეთ პირობების შექმნა რომ დაბალი ეკონომიკური შემოსავლის მქონე პირებს ჰქონდეთ ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე ხელმისაწვდომის შესაძლებლობა თავისთავად შეცვლიდა და გააუმჯობესებდა მათ მდგომარეობას (OECD/WHO, 2003). 1 მილიარდ ადამიანზე მეტ ადამიანს დღეში 1 დოლარი აქვს შემოსავალი, 2.7 მილიარდი კი დღეში 2 დოლარზე ნაკლებით ცდილობს გადარჩეს. შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ყოველწლიურად 6 მილიონამდე 5 წლამდე ასაკის ბავშვი იღუპება არასწორი, არასაკმარისი კვების შედეგად, ყოველდღიურად საშუალოდ 800 მილიონი ადამიანი იძინებს მშიერი და აქედან 300 მილიონი ბავშვია (FAO. 2019) ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მსოფლიო მოსახლეობოდან 2.6 მილიარდ ადამიანზე მეტს არ აქვს საბაზისო სანიტარული ნორმები, ხოლო 1 მილიარდ ადამიანზე მეტი საფრთხის შემცველ სასმელ წყალს მოიხმარს და სწორედ ამის გამო 5 მილიონი ადამიანი და უმეტესად ბავშვები იღუპებიან წყლიდან შეძენილი დაავადებებისგან(UNICEF,2023)

იმ ქვეყნებში სადაც მოსახლეობას შედარებით დაბალი შემოსავლები აქვთ სიკვდილიანობის გამომწვევი მიზეზი ხშირად გადამდები დაავადებებია. იმის მიუხედავად რომ მსოფლიოს მასშტაბით მსგავს დაავადებათა რიცხვი იკლებს, ასეთ ქვეყნებში სიკვდილის 10 გამომწვევი მიზეზიდან 6 სწორედ გადამდები დაავადებაა: მალარია, აივი, ტუბერკულიოზი ჯერ კიდევ რჩება ტოპ ათეულში, ასევე სიკვდილის მიზეზი ხშირად დიარეული და ფილტვების ქრონიკული დაავადებებია (WHO,2020)

ჯანმრთელობის გაუარესებას ხშირ შემთხვევაში პიროვნების დამსახურებად აღიქვამენ ხოლმე, მაგრამ მნიშვნელოვანია რომ ითქვას თემის გარშემო არსებული პრობლემები- დაბალი შემოსავალი, ძალადობა, უმუშევრობა, სიღარიბე, დაბალი განათლების დონე, არაადეკვატური საცხოვრებელი- ეს და სხვა ფაქტორები აყალიბებს ჯანმრთელობას და აჩენს ჯანმრთელობის უთანასწორობას (Braveman, Gottlieb. 2014)

საქართველოს კანონის-,,საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, თანახმად ჯანდაცვისა და სხვადასხვა სოციალური პროგრამების დაფინანსების მიზნით გაზრდილია სამინისტროს დაფინანსება 795,0 მლნ ლარით,მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები, რომელიც ფინანსდება 1540 მლნ ლარით და ასევე მოიცავს საყოველთაო ჯანდაცვის დაფინანსებას, რომელიც განისაზღვრება 850 მლნ ლარით(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2023).

როგორია სიღარიბის გავლენა ოჯახურ ცხოვრებაზე

სიღარიბე ოჯახის ფუნქციონარებაზე დიდ გავლენას ახდენს. გამოიყოფა ოჯახთა რამდენიმე კატეგორია, რომელიც სიღარიბის მაღალი რისკის ქვეშ არიან, ესენია: ოჯახები მარტოხელა მშობლით, დიდი ოჯახები, მაგალითად რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი შვილი, ერთად, თანაცხოვრებაში მყოფი ოჯახები და ოჯახები რომელთაც ჰყავთ ოჯახში მინიმუმ ერთი შეზღუდული შესაძლებლობოს მქონე

პირი (Culliney, Haux, McKay 2013). ოჯახური გარემო არის ის ადგილი სადაც ოჯახი ცხოვრობს, ოჯახის გარშემო არსებული ფიზიკური გარემო დაკავშირებულია ორ მნიშვნელოვან ასპექტთან, ესენია: ოჯახური და სამეზობლო გარემო, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის ქცევაზე (Park,Turnbull, Turnbull III,2002).

ეკონომიკური სიდუხჭირე ზრდის ქცევით დარღვევებს, ართულებს ურთიერთობებს, ზრდის ფიზიკურ და მენტალური პრობლემების რისკს (Sareen, Afifi, McMillan, Asmundson. 2011)

ოჯახში არასათანადო პირობების არსებობის შემთხვევაში, მაგალითად, როდესაც არის არასაკმარისი გათბობა, კომუნალური სერვისების გაუმართაობა და მოკლედ რომ ვთქვათ მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა- ამ ყოველიმემ შესაძლოა ხელი შეუშალოს ოჯახის თითოეული წევრის სრულფასოვან ცხოვრებას, განსაკუთრებით კი აღნიშნული დიდ გავლენას ახდენს ბავშვების ცხოვრების ხარისხზე, რადგან ეს ყოველივე ხელს უშლის სწავლაში, დასვენებაში და მოზარდებში სწორედ ამ ყველაფრის გამო ხშირია ფსიგოლოგიუქრი პრობლემები(Crooks, 1995).

სიღარიბის გავლენა ოჯახურ ცხოვრებაზე შესაძლებელია განვიხილით ორი მიმართულებით, მაგალითად: ბავშვისა და მშობლის ურთიერთობა და ოჯახის სხვა წევრებს შოროს ურთიერთობა. მშობლების თბილი, მზრუნველი, მხარდამჭერი და ყურადღებიანი მიდგომა ბავშვებს ადრეული ასაკიდანვე უყალიბებს უსაფრთხოებისა და დაცულობის შეგრძნებას. სიღარიბე და მისი თანმხლები ცხოვრებისეული პრობლემები ხშირად ხელს უშლის მშობლებს, რომ შვილებთან პოზიტიური ურთიერთობა ჩამოაყალიბონ, ზოგჯერ ისინი არასათანადო ემოციურ მდგომარეობაში იმყოფებიან, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს ბავშვების კეთილდღეობაზე (Ho, Lempers, Clark-Lempers. 1995).

მშობლები, რომელთაც არ აქვთ საკმარისი შემოსავალი და ფინანსური პრობლემების წინაშე დგანან ხშირად აწყდებიან სირთულეებს შვილებთან

ურთიერთობის პროცესში, ხშირად მათ არ გააჩნიათ განათლება ან თავადაც სიღარიბეში მოუწიათ გაზრდა და სწორად ამის გამო შეიძლება უჩიოდნენ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ პრობლემებს(Holscher, 2008).

ხშირად და სწორედ ასეთი მშობლები ცდილობენ, ყველაფერს აკეთებენ იმისთვის რომ მინიმუმამდე დაიყვანონ სიღარიბის ნეგატიური გავლენა ბავშვებზე და ამისთვის ზოგჯერ უწევთ, რომ უარი თქვან საყვარელ საქმიანობაზე, პირად ცხოვრებაზე და უკიდურეს შემთხვევაში საკვების მიღებაზეც კი (Holscher, 2008).

ბავშვობის განმავლობაში სიღარიბეში ყოფნა ადამიანის ცხოვრებაში შეიძლება ითქვას ერთ-ერთი ნეგატიური გამოცდილებაა და მით უფრო ნეგატიურია აღნიშნული გამოცდილება თუ ეს პროცესი დროის ფართო ინტერვალს მოიცავს ან თუ სიღარიბის მომენტები ხშირად მეორდება არასრულწლოვნის ცხოვრებაში(Unicef,2023).

იმისთვის რომ მსოფლიოში აღარ იყოს მსგავსი შემაშფოთებელი სურათი იუნისეფი და მსოფლიო ბანკი მოუწოდებს სახელმწიფოებს, რომ მეტი ყურადღება გაამახვილონ საშუალო და დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყნებმა ბავშვებზე, რომლებიც უკიდურეს სიღარიბეში იმყოფებიან, პრიორიტეტი მიანიჭონ ისეთ ოჯახებს, რომლებიც სიღარიბეში ცხოვრობენ და ამასთან ერთად ჰყავთ შვილი და გამოყონ მათთვის, მათი მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული სოციალური დაცვის სერვისები, გაზარდონ ხელმისაწვდომობა არასრულწლოვნებისთვის ისეთ სერვისებზე, რომელიც მათ მდგომარეობას უკეთესობისკენ შეცვლის (Unicef,2023).

ის ოჯახები, რომელთაც ეკონომიკური პრობლემები აქვთ დიდ სტრესს განიცდიან, რაც თავის მხრივ განაპირობებს ოჯახში დაძაბული გარემოს ჩამოყალიბებას, ის ქვეყნები სადაც უმუშევრობის მაღალი დონეა ასევე მაღალი მაჩვენებელია დანაშაულის, რაოდენობის მიმართულებით(ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი, 2011). შინაგან საქმეთა სამინისტრო ასევე

გამოყოფს ოჯახში ძალადობის გამომწვევ მიზეზებს, რომელთგანაც რამდენიმე ეკონომიკურ სიდუხჭირეს უკავშირდება, ესენია:სტრესი, რომელიც გამოწვეული შეიძლება იყოს უმუშევრობით, რაც გავლენას ახდენს ოჯახის წევრებს შორის დაძაბული ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე,ქალის ეკონომიკური სიდუხჭირე, რომლის გამოც ხშირად ამჯობინებენ მოძალადე მამაკაცთან დარჩენას ან კიდევ პირიქით, როდესაც ქალის ეკონომიკური მდგომარეობა უმჯობესდება ამას კი მამაკაცი პრობლმად, საფრთხედ აღიქვამს, რაც იწვევს ძალადობას ოჯახში(შინაგან საქმეთა სამინისტრო).

საქართველოში 2023 წლის I კვარტალში უმუშევარი ადამიანების წილი 18%-ს შეადგენდა, რაც წინა წლის მონაცემებთან შედარებით 1%-ით გაზრდილია, II-კვარტალში- 16,7% იყო, ხოლო წლის ბოლოს აღნიშნული მაჩვენებელი 15,6%-მდე შემცირდა(საქსტატი,2023)

საქართველოში ოჯახში ძალადობის სტატისტიკას, რომ გადავხედოთ 2023 წელს, 9 თვის განმავლობაში(იანვარი-სექტემბერი) სულ გაიცა 6510 შემაკავებელი ორდერი, აქედან მოძალადედ ფიქსირდება 4785 მამაკაცი და 867 ქალბატონი, ძალადობის მსხვერპლი კი იყო 943 მამაკაცი და 4977 ქალბატონი(შინაგან საქმეთა სამინისტრო,2024).

როგორია სიღარიბის გავლენა განათლებასა და დასაქმებაზე

განათლების მიღება და განათლების სერვისებზე ხელმისაწვდომობა ადამიანის უფლებაა. განვითარებისთვის და სიღარიბის დასამარცხებლად, შესამცირებლად

განათლება სწორედ რომ ერთ-ერთი უმთავრესი ინსტრუმენტია(World Bank,2023). განათლების დონის გაზრდა ქვეყნებში ასევე სიღარიბის შემცირებასთან ერთად პარარელურ რეჟიმში ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის გაუმჯობესებას, გენდერულ თანასწორობას, სტაბილურობისა და სიმშვიდის დამყარებას. მისი დონის ზრდა პირდაპირპროპორციულია შემოსავლებისა და კეთილდღეობის ზრდასთან (World Bank,2023).

განვითარებადი ქვეყნები სულ უფრო და უფრო ცდილობენ, რომ ახალგაზრდები სასკოლო ცხოვრებასა და განათლების პროცესში იღებდნენ მონაწილეობას,რის შედეგადაც უფრო მეტი ბავშვი ამ ეტაპზე სასკოლო ცხოვრებაშია ჩართული. ჭკვიანური და ეფექტური ინვესტიცია დაეხმარება მსოფლიოს არსებული რეალობის უკეთესობისკენ შესაცვლელად, ჭკვიანური ინვესტიცია კი ამ შემთხვევაში მოიაზრებს ინვესტიციას საზოგადოების განათლებაში, ადამიანური კაპიტალის განვითარების გზით(World Bank,2021) . ახალ თაობას მნიშვნელოვანია, რომ კარგად ჰქონდეს გააზრებული სოციო-ემოციური, კოგნიტური, ტექნიკური და ციფრული უნარები, რომლის გარეშეც დღევანდელ სამყაროში წინსვლა წარმოუდგენელია(World Bank,2021)

როდესაც ვსაუბრობთ განათლებისა და სიღარიბის ურთიერთკავშირზე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ის ოჯახები, რომლებიც უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობენ ბავშვებს, მოზარდებს ვერ უქმნიან შესაბამის გარემოს რომელშიც შეძლებენ განათლების მიღებას,მათ ზოგჯერ არ აქვთ წიგნები, სასკოლო ნივთები, შესაფერისი ინფასტრუქტურა, საცხოვრებელ გარემოში, ეს ყველაფერი კი, რასაკვირველია, გავლენას ახდენს არასრულწლოვნის კეთილდღეობასა და დასწავლის უნარზე(Van der Berg, 2008). აღსანიშნავია ისიც, რომ რიგ შემთხვევებში მშობლებს არ აქვთ განათლება და საჭიროდ არ მიაჩნიათ, რომ შვილების განათლებაში რაიმე ინვესტიცია ჩადონ, ამასთან ერთად მშობლების განათლების შედარებით დაბალი დონე გავლენას ახდენს ბავშვების

სწავლის მოტივაციაზე და ისინი ასევე ვერ იღებენ სწავლის პროცესში მშობლებისგან მხარდაჭერას (Van der Berg, 2008).

ბავშვები, რომლებიც იზრდებიან სიღარიბეში ბევრი დაბრკოლებისა და წინააღმდეგობის წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე, რომლის შედეგებიც შემდგომ მათ ცხოვრებას ლაქად გასდევს(Hirsch, 2007). სწორედ, რომ სიღარიბეს მოზარდობის პერიოდში, მაშინ, როდესაც განათლების მიღების საწყის ეტაპზეა ადამიანი დიდი უარყოფითი ეფექტის მოხდენა შეუძლია, როგორც ჯანმრთელობის მხრივ, ასევე კოგნიტური და ფსიქოლოგიური განვითარებისას და რაღა თქმა უნდა, განათლების მიღების პროცესში (Hirsch, 2007). მეცნიერულად დამტკიცებულია რომ ბავშვი რაც უფრო დიდხანს ცხოვრობს სიღარიბეში მისი კოგნიტური განვითარება მით უფრო არასრულყოფილია(Treanor,.2012).სკოლა სწორედ ის დაწესებულებაა, სადაც განათლების მიღების პროცესი იწყება ამიტომ საზოგადოების ყველა წევრი იმსახურებს სკოლას, სადაც შესაფერისი უსაფრთხო გარემო იქნება, სადაც კვალიფიციური პედაგოგები ზრუნავენ ბავშვების განათლებაზე (Powers,2004). სიღარიბე ადამიანის გარშემო ქმნის ისეთ გარემო-პირობებს, რომელიც ხელს უშლის ადამიანების შესაძლებლობების, უნარების განვითარებას, რაც შემდგომ გავლენას ახდენს ინდივიდის ჩართულობაზე შრომის ბაზარზე, რომელიც ადამიანს მიიყვანს ადეკვატურ შემოსავლამდე და შემდგომ სიღარიბისგან თავის დაღწევდე(World Bank,2023). შრომის ბაზარზე შესასვლელად განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანია, როგორც უკვე აღვნიშნე უნარების განვითარება, რომლებიც დასაქმების პროცესში ერთ-ერთი საყურადღებო კომპონენტია. დღეს შრომის ბაზარზე თავის დასამკვიდრებლად მნიშვნელოვანია ისეთი უნარების განვითარება, მაგალითად როგორიცაა:

1. ფუნდამენტური უნარები
2. სოციო-ემოციური უნარები
3. პროფესიული უნარები

4. ციფეული უნარები (World Bank, 2023) .

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2022 წლის მონაცემების თანახმად, იმ ახალგაზრდების პროცენტული წილი, რომელთა ასაკიც 15-დან 29 წლამდე მერყეობს და არ არიან ჩართულნი არანაირ სასწავლო პროცესში, მათ შორის არც ტრენინგებში იღებენ მონაწილეობას და ამასთანავე არიან დაუსაქმებლები 30,7%-ს შეადგენს, რაც წინა წლებთან შედარებით 4-5%-ით შემცირებულია(საქსტატი,2022)

მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ განათლების ხარისხზე, რომლის ინდიკატორადაც ითვლება PISA-ს საერთაშორისო ტესტი(კაცაია,ცინცაბაძე,ურგებაშვილი,კვახაძე. 2023). PISA-ს საერთაშორისო ტესტი 2022 წელს ჩატარდა და მიღებული შედეგების თანახმად საქართველოს მოსწავლეებმა მათემატიკაში აჩვენეს 390 ქულა, კითხვაში-374, ხოლო საბუნებისმეტყველო საგნებში 384 ქულა, რაც 2018 წლის მონაცემებთან შედარებით შემცირებულია(შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი,2022).იმ შემთხვევაში თუ შევადარებთ კერძო და საჯარო სკოლის მოსწავლეთა ზოგადი განათლების დონეს -კერძო სკოლის მოსწავლეები უფრო მაღალი შედეგებით არიან წარმოდგენილნი სამივე კომპონენტში: მათემატიკა (კერძო სკოლის მოსწავლეები-445 ქულა, საჯარო სკოლის მოსწავლეები-384 ქულა), კითხვა (კერძო სკოლის მოსწავლეები-426 ქულა, საჯარო სკოლის მოსწავლეები-369 ქულა), ხოლო საბუნებისმეტყველო საგნებში(კერძო სკოლის მოსწავლეები-436 ქულა, საჯარო სკოლის მოსწავლეები374 ქულა) (შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი,2022).კვლევის შედეგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ სოციო-ეკონომიკური ფაქტორები გარკვეულწილად გავლენას ახდენს განათლების მიღების პროცესზე, რადგან საქართველოში მცხოვრებმა მოსწავლეებმა, რომელთაც უკეთესი სოციალურ-ეკონომიკური პირობები ჰქონდათ მათემატიკაში 65 ქულით უკეთესი შედეგი აჩვენეს იმ მოსწავლეებთან შედარებით, რომელთაც შეჭირვებული ეკონომიკური

მდგომარეობა ჰქონდათ(შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი,2022), მაგრამ პოზიტიურია ის ფაქტი, რომ საქართველოს ეკონომიკური პრობლემების მქონე 15 წლის მოსწავლეების 14%-მა კვლევის თანახმად, მათემატიკაში უმაღლესი შეფასება მიიღო, რის შედეგადაც მაღალი შედეგების მქონე მოსწავლეების 25%-ში მოხვდა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ მათი რთული სოციო-ეკონომიკური პრობლემების მიუხედავად მაინც შეძლეს უმაღლესი შედეგების მიღწევა(შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი,2022).

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო მიზნებში გაწერილია, რომ სასკოლო სივრცეში მიღებულმა განათლებამ მოზარდს უნდა ჩამოუყალიბოს განვითარების, ახალი ცოდნის, უნარ-ჩვევების შეძენის უნარი, რადგან შეძლოს საკუთარი თავისა და შესაძლებლობების რეალიზება და სოციალურ გარემოში თავის დამკვიდრება(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2021)

გაეროს ბავშვთა ფონდი მოუწოდებს საქართველოს, რომ ხელი შეუწყოს განათლების სისტემის გაუმჯობესებას, რადგან განათლება ხელს უწყობს ქვეყნის კეთილდღეობას, წინააღმდეგ შემთხვევაში მოცემული მდგომარეობა გამოიწვევს ქვეყნის სიღარიბის ციკლში მოქცევას, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა და დაბრკოლებას უქმნის სახელმწიფოს ისეთი ეკონომიკის განვითარებაში,რომელიც დამოკიდებული იქნება კვალიფიციურ მუშახელზე (Unicef,2017).

რა როლს ასრულებს სოციალური მუშაკი სიღარიბისგან თავის დაღწევის პროცესში

სოციალურ მუშაკებსა და სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანებს შორის ურთიერთობა ემყარება სოციალურ სამართლიანობას, რომელიც მოიცავს და ხაზს უსვამს ადამიანის უფლებებს, დემოკრატიას, ადამიანების პატივისცემასა და ინკლუზიას(McLaughlin, Gray,Wilson, 2017). როგორც უკვე აღვნიშნე სიღარიბე წარმოადგენს სოციალური სამართლიანობის საკითხს სოციალური მუშაობისთვის.სიღარიბე შესაძლოა ურთიერთქმედებდეს როგორც ინდივიდებზე, ასევე შესაძლოა ზეგავლენას ახდენდეს სხვა უთანასწორობებზეც, რომელიც შესაძლოა სოციუმში შეგვხვდეს და რომლოს მოგვარებაც სოციალური მუშაკისა და ოჯახს შორის ურთიერთობის საფუძველზე შესაძლებელია (McLaughlin et.al,2017). იმისთვის, რომ სოციალურმა მუშაკმა სწორი ინტერვენცია განახორციელოს საჭიროა მისი მხრიდან სწორი მიდგომებისა და უნარების გამოყენება, რომლის განვითარებაშიც სოციალურ მუშაკებს გამოცდილება და მიღებული ცოდნა ეხმარებათ (McLaughlin et. al2017).

ის შესრულებული სამუშაო, რომ არა რასაც სოციალური მუშაკები ყოველდღიურად ასრულებენ მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი აღმოჩნდებოდა დაუცველი მხარდაჭერის გარეშე იმ გამოწვევების წინაშე,რომელიც შეიძლება მოიტანოს სოციალურმა და ეკონომიკურმა პრობლემებმა (Asquith,Clark, Waterhouse, Dept. 2005). წარსულიდან გვახსოვს, რომ სოციალური მუშაკის ერთ-ერთ უმთავრეს მოვალეობას სწორედ რომ მათი მხარდაჭერა და დახმარება წარმოადგენდა, ვინც სოციალურ უთანასწორობას

განიცდიდა, ისინი ჩართულნი უნდა იყვნენ სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკაში და ახდენდნენ ინტერვენციას, როგორც ინდივიდუალურ ისე ოჯახურ დონეზე, მნიშვნელოვანია რომ სოციალური მუშაკების ძალისხმევა მაქსიმალურად მიმართული იყოს სიღარიბეში მცხოვრები მოსახლეობის მხარდასაჭერად და გასაძლიერებლად (Monnickendam,Katz, Monnickendam, 2010). სოციალურ კეთილდღეობაში ჩართვა გულისხმობს სიღარიბის პრობლემასთან ბრძოლას მაკრო დონეზე, მაგრამ მაშინ როცა ინტერვენცია ხდება არასოციალური კეთილდღეობის პოლიტიკაში არამედ, ინდივიდუალურად, როგორც ზემოთ აღვნიშნე ოჯახებთან, ინდივიდებთან გულისხმობს მიკრო დონეზე მიშაობას, რომელიც აუცილებებლია სწორი და შედეგის მომცემი სტრატეგიებისა და მიდგომების შემუშავებაში, მაგრამ საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ხშირად მიკრო დონეზე ჩარევას და ამ მხრივ პრობლემის მოგვარებას აკრიტიკებენ და სკეპტიკურად უყურებენ(Hugman, 2020). სოციალური მუშაკები ცდილობენ კლიენტებთან მუშაობის დროს, რომ შეძლონ მათი საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება და ასევე ეძებენ გზებს კლიენტს შესთავაზონ, ჰქონდეს წვდომა სხვადასხვა სოციალურ, ჯანდაცვის პაკეტებზე და უკიდურეს შემთხვევაში კი ცდილობენ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ ადამიანს უზრუნველყონ ისეთი საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილება, როგორიცაა საკვები, თავშესაფარი და უსაფრთხო გარემო(შატბერაშვილი,2011).

იქამდე სანამ რაიმე სახის ინვესტიციას განახორციელებს სოციალური მუშაკი პირველ რიგში უმნიშვნელოვანესია შეფასება, რომელიც გულისხმობს ბენეფიციარების სრულფასოვან, სიღრმისეულ შესწავლას, ამ ყველაფრის განსახორციელებლად კი მნიშვნელოვანია ინფორმაცია მოძიებული იყოს სხვადასხვა საშუალებებიდან და წყაროებიდან,პრობლემა ისე უნდა იქნას გამოკვეთილი, რომ კონკრეტული სამუშაო გეგმის განსაზღვრა და შემდეგ განხორციელება მარტივად იყოს შესაძლებელი (შატბერაშვილი,2011). შეფასება არ მოიცავს მხოლოდ ბენეფიციარის საჭიროებების და პრობლემების შესახებ

ინფორმაციის შეგროვებას, არამედ სოციალური მუშაკები მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ცდილობენ რომ წიმასწარ წარმოადგინონ და გაითვალისწინონ კლიენტის შესაძლებლობები და უნარები, მაგალითად ის თუ რისი შესრულება შეუძლია დამოუკიდებლად და რისი არა, შემდეგ ეტაპზე სოციალური მუშაკები განიხილავენ იმ რესურსებს, სისტემებსა და ორგამიზაციებს, რომელთა სერვისებიც აღნიშნულ შემთხვევაში ყველაზე ხელსაყრელი იქნება ბენეფიციარის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.(საძაგლიშვილი, შეყრილაძე შატბერაშვილი, ნამიჭეიშვილი 2011).

საქართველოს კანინის, ,, სოციალური მუშაობის შესახებ“, მე-15 მუხლის, რომელიც განსაზღვრავს სოციალური მუშაკის ძირითად ფუნქციებს , მე-2 ქვეპუნქტის თანახმად სოციალური მუშაკის ერთ-ერთ მთავარ ვალდებულებას წარმოადგენს, რომ იზრუნოს ,,ბენეფიციარის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე“, აქვე განსაზღვრულია, რომ სოციალურმა მუშაკმა უმდა ,,განახორციელოს ბენეფიციარის ადვოკატირება და იზრუნოს მის კეთილდღეობაზე“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე,2018).

სიღარიბის წინააღმდეგ მუშაობის დროს სოციალური მუშაკები იყენებენ კონსულტირებას, რომელიც გულისხმობს და რომლის მიზანსაც წარმოადგენს იმ ადამიანისთვის, რომელიც არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება უსაფრთხო გარემოს შექმნა და მისი საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვა (საძაგლიშვილი, შეყრილაძე. 2020). ხშირად ადამიანი იმდენად უძლურია, რომ არ შეუძლია საკუთარი ცხოვრება თავად შეცვალოს უკეთესობისაკენ, ამიტომ ისეთი ადამიანის ჩარევაა საჭირო მისი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ვინც ფლობს შესაბამის უნარებსა და კომპეტენციებს(საძაგლიშვილი და სხვ.2011). სოციალურ მუშაობაში კონსულტირება 3 ძირითად კომპონენტს,პერიოდს მოიცავს, რომელიც შესაძლოა შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

1. შესწავლა, შეფასება, დაგეგმვა- ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია, რომ სოციალურმა

მუშაკმა გამოიყენოს საკუთარი კომუნიკაციის უნარები, არაგანსჯითი მიდგომა, რათა მოახერხოს უშუალოდ ბენეფიციარის ჩართვა აღნიშნულ პროცესში.

2. დასახული ინტერვენციების განხორციელება, რაც მოიაზრებს დასახული გეგმის გადასინჯვას და გადახედვას. კონსულტირების ეს ეტაპი შესაძლოა მეტად შრომატევადათ ჩაითვალოს, რადგან ამ დროს სოციალური მუშაკი ბენეფიციარის შესახებ უკვე ფლობს გარკვეულ ინფორმაციას და ახლა უკვე მასთან ერთად გეგმავს ახალ ინტერვენციებს და უკვე დაგეგმილი ინტერვენციები განხორციელების პროცესშია, რამაც შესაძლოა იმაზე ბევრად მეტი დრო წაიღოს ვიდრე ეს მოსალოდნელია.

3. ბოლო ეტაპი ესაა: მიღწეული შედეგების შენარჩუნებაზე ზრუნვა, ბენეფიციარის მომზადება იმისთვის, რომ თავად დამოუკიდებლად წარმართოს საკუთარი ცხოვრება და ბოლოს უკვე სრულდება ბენეფიციართან მუშაობა (საძაგლიშვილი და სხვ. 2011)

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის მიერ შემუშავებული სოციალური სამუშაოს პრაქტიკის სტანდარტების თანახმად, რომლითაც საქართველოში მუშაობენ სოციალური მუშაკები, მოუწოდებს რომ მათი პრაქტიკა დააფუძნონ ადამიანის ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და პოლიტიკურ უფლებებს, სოციალურმა მუშაკებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სოციალურად დაუცველი ადამიანები მაქსიმალურად იყვნენ ჩართულნიყოველდღიურ ცხოვრებაში, ხელმისაწვდომი იყოს მათთვის ყველა სერვისი და მომსახურება, რაც მათ ცხოვრების ხარისხს განაპირობებს, სტანდარტი ასევე ავალდებულებს სოციალურ მუშაკებს,რომ მაქსიმალურად დაიცვან სოციალურად დაუცველი ადამმიანების უფლებები და იმ შემთხვევაში თუ მათ არ გააჩნიათ საკამარისი რესურსები,არ გააჩნიათ სხვადასხვა სერვისებზე წვდომა - მაქსიმალურად ეცადონ, რომ შესაბამისი უწყებების, ადამიანების ან თუნდაც საზოგადოების ყურადღება მოიპოვოს მათი დახმარების მიზნით (სოციალურ მუშაკთა ასოციაცია).

საქართველოში სოციალური მუშაკები 2022 წლის მონაცემებით დასაქმებულნი არიან არაერთ საჯარო სამსახურში, დასაქმებულთა ჯამური რაოდენობა კი დაახლოებით 390 სოციალური მუშაკია, ყველაზე მეტი სოციალური მუშაკი დასაქმებულია ტრეფიკინგის მსხვერპლთა,დაზარალებულთა დახმარების სააგენტოში და მათი რაოდენობა 272 პირამდეა (საძაგლიშვილი, გიგინეიშვილი,ლეკიშვილი 2022).

საქართველოში სოციალურ მუშაკთა ზოგად პრაქტიკას რომ გადავხედოთ, სოციალური მუშაკი ანხორციელებს კლიენტის გაძლიერებაზე ორიენტირებულ საქმიანობას, იგი შეფასების შემდეგ მუშაობს ინტერვენციის გეგმის შემუშავებაზე, რაც მოიაზრებს შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესს. აღნიშნულ პროცესში კი დიდი ყურადღება ექცევა კლიენტის რესურსების, შესაძლებლობების, უნარების განვითარებასა და გამოყენებას,რათა კლიენტმა შეძლოს სოციალიზაცია, გაიუმჯობესოს ეკონომიკური მდგომარეობა და შეძლოს საკუთარი ცხოვრების დამოუკიდებლად წარმართვა(საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია).

ბოლოს კი სოციალური მუშაკი პერიოდულად უკეთებს გადასინჯვას, თუ როგორ მიდის დაგეგმილი პროცესი, რამდენად ეფექტურია გამოყენებული მიდგომები და საბოლოოდ, როდესაც მომსახურების მიწოდება დასრულდება პერიოდულად ამ შემთხვევაშიც ხდება ბენეფიციარის ზედამხედველობა, რომ რაიმე ტიპის საფრთხეები და პრობლემები კვლავ არ გამოიკვეთოს (საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია).

დასკვნა

ჩემს მიერ წარმოდგენილი ნაშრომის მიზანი იყო, რომ უკვე არსებული რელევანტური ლიტერატურის საფუძველზე, შემეგროვებინა და გამეანალიზებინა ინფორმაცია იმის შესახებ თუ რა გავლენის მოხდენა შეუძლია სიღარიბეს და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს ინდივიდის ცხოვრების ხარისხზე. ასევე ნაშრომში წარმოდგენილია სტატისტიკური მონაცემები, როგორც საქართველოს ისე მსოფლიოს მასშტაბით, რომელიც ცხადად აჩვენებს იმ შემაშფოთეველ სურათს, რაც ჩვენ გარშემო ხდება და რაც ხაზს უსვამს თემის აქტუალობას. ყურადღება გამახვილებულია ასევე ცალკეულ თემებზე, რომელიც ჩემი აზრით მეტ ყურადღებას იმსახურებდა, ესენია: სიღარიბის გავლენა ჯანმრთელობაზე, ოჯახურ ურთიერთობებზე, განათლებასა და დასაქმებაზე და სოციალური მუშაკის როლზე სიღარიბის პრევენციის პროცესში. ნაშრომში გამოიკვეთა, რომ სიღარიბე ადამიანებს უზღუდავს წვდომას ჯანდაცვის სერვისებზე და ადეკვატურ საცხოვრებელ პირობებზე, რაც ჯანმრთელობის საწინდარია. სიღარიბე ასევე გავლენას ახდენს ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობებზე,რადგან ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება ოჯახში სტრესს და დაძაბულობას ზრდის, რაც გავლენას ახდენს ოჯახის თითოეული წევრის ფსიქიკაზე, ყველაზე მეტად თვალშისაცემი კი იყო სიღარიბის გავლენის შედეგები მშობლებისა და შვილების ურთიერთობაზე. ანალოგიურად შეგვიძლია განათლებასა და დასაქმებაზეც ვისაუბროთ, რადგან ეკონომიკური

პრობლემები ქმნის დამაბრკოლებელ გარემოებებს ინდივიდების ცხოვრებაში, რომელიც ხელს უშლით განათლების მიღებაში და რასაკვირველია შემდგომ დასაქმების ბაზარზე თავის დამკვიდრებაში. ამიტომ მიმაჩნია რომ საჭირო და აუცილებელია, რომ ყველა ქვეყანამ უზრუნველყოს წვდომა ჯანდაცვისა და განათლების სერვისებზე, იმდენად რომ ყველა ადამიანმა შეძლოს ადეკვატური განათლების მიღება, რადგან ადამიანური და სოციალური კაპიტალი სწორედ ის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია, რომელსაც სიღარიბის დაძლევა და მდგომარეობის უკეთესობისკენ შეცვლა შეუძლია.მაშინ, როდესაც სახელმწიფოში მოსახლეობას ხელი მიუწვდება ხარისხიან განათლებაზე, მათ ასევე აქვთ შესაძლებლობა, რომ ებრძოლონ უთანასწორობას და როგორც უკვე აღვნიშნე თავი დააღწიონ სიღარიბეს. რაც შეეხება სოციალური მუშაკების ძალისხმევას სიღარიბის დაძლევის პროცესში ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ მათ მართლაც დიდი როლი აქვთ აღნიშნულ პროცესში, რადგან, როგორც ზემოთ აღვნიშნე,სოციალური მუშაობის და სოციალური მუშაკების ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს, ხომ სწორედ კონომიკური უთანასწორობის წინაშე მდგომი მოსახლეობის მხარდაჭერა და მდგრადი განვითარება წარმოადგენს, რაც თავის მხრივ მოიაზრებს ინდივიდის კეთილდღეობას, სოციალური დაცვით და ეკონომიკური განვითარებით.

ბიბლიოგრაფია

Asquith, S., Clark, C.L., Waterhouse, L., & Dept, S.E. (2005). The role of the social worker in the 21st century: a literature review.

Attanayake, M. m. poverty eradication and the role of social workers.

Ben-chieh Liu, Quality of Life Indicators in U.S. Metropolitan Areas, 1970: A Statistical Assessment.

Braveman P, Gottlieb L. The social determinants of health: it's time to consider the causes of the causes. Public Health Report(2014)

Crooks, D. L. (1995). American children at risk: Poverty and its consequences for children's health, growth, and school achievement. American Journal of Physical Anthropology.

Culliney, M., Haux, T. and McKay, S. (2013), Family Structure and Poverty. An Evidence and Policy Review.

Dictionary, W. (1913). Webster's revised unabridged dictionary. C. & G. Merriam Co. Springfield, Massachusetts, USA.

FAO. 2019. FAO framework on rural extreme poverty: Towards reaching Target 1.1 of the Sustainable Development Goals.

Guyatt, G. H., Ferrans, C. E., Halyard, M. Y., Revicki, D. A., Symonds, T. L., Varricchio, C. G., ... & Clinical Significance Consensus Meeting Group. (2007, October). Exploration of the value of health-related quality-of-life information from clinical research and into clinical practice.

Hirsch, D. (2007). Chicken and Egg: child poverty and educational inequalities. London: Child Poverty Action Group.

Ho, C. S., Lempers, J. D., & Clark-Lempers, D. S. (1995). Effects of economic hardship on adolescent self-esteem: A family mediation model.

Holscher, P. (2008). Children and young people's experiences of poverty and social exclusion. Understanding inequality, poverty and wealth: policies and prospects, 135-55.

Hugman, R. (2020). Social work and de-professionalization. In The sociology of the caring professions (pp. 178-198). Routledge.

McLaughlin, A. M., Gray, E., & Wilson, M. G. (2017). From tenuous to tenacious: Social justice practice in child welfare. Journal of Public Child Welfare.

Monnickendam, M., Katz, C., & Monnickendam, M. S. (2010). Social workers serving poor clients: Perceptions of poverty and service policy. British Journal of Social Work.

OECD/WHO (2003), Poverty and Health, DAC Guidelines and Reference Series, OECD Publishing, Paris,

Park, J., Turnbull, A. P., & Turnbull III, H. R. (2002). Impacts of poverty on quality of life in families of children with disabilities. Exceptional children.

Patrick, D. L., & Erickson, P. (1993). Assessing health-related quality of life for clinical decision-making. In Quality of life assessment: Key issues in the 1990s (pp. 11-63). Dordrecht: Springer Netherlands.

Powers, A. L. (2004). An evaluation of four place-based education programs. The Journal of Environmental Education.

Riste, L., Khan, F., & Cruickshank, K. (2001). High prevalence of type 2 diabetes in all ethnic groups, including Europeans, in a British inner city: relative poverty, history, inactivity, or 21st century Europe?. Diabetes care.

Sareen J, Afifi TO, McMillan KA, Asmundson GJ. Relationship between household income and mental disorders: findings from a population-based longitudinal study. Arch Gen Psychiatry. 2011

Sherman, A. (1994). Wasting America's future: The children's defense fund report on the costs of child poverty.

Siddique, H. M. A., Nazir, S., Mohey-Ud-Din, G., & Kiani, A. K. (2022). The impact of poverty on human health: a panel data analysis. Bulletin of Business and Economics

Strydom, C., & Tlhojane, M. E. (2008). Poverty in a rural area: the role of the social worker. Social Work/Maatskaplike Werk.

Tibbitts, F. (2002). Understanding what we do: Emerging models for human rights education. International review of education..

Treanor, M. (2012). Impacts of poverty on children and young people. Scottish Childcare and Protection Network Research Briefing, Edinburgh...

Twikirize, J. M., Asingwire, N., Omona, J., Lubanga, R., & Kafuko, A. (2013). The role of social work in poverty reduction and the realisation of Millenium Development Goals in Uganda.

UN Millennium Project. 2005. Investing in Development: A Practical Plan to Achieve the Millennium Development Goals. New York.

UNDP (United Nations Development Programme). 1999. Human Development Report 1999: Globalization with a Human Face. New York.

UNICEF Innocenti. (2023) Child poverty in the midst of wealth. Innocenti report card 18.

United Nations. "Report of the World Summit for Social Development", 6–12 March 1995. (archived from the original on 4 July 2019)

Van der Berg, S. (2008). Poverty and education. Education policy series.

Watkins, K. (2016). The State of the World's Children 2016: A Fair Chance for Every Child. UNICEF.

Williams, D. R., and C. Collins. 2001. Racial residential segregation: A fundamental cause of racial disparities in health. Public Health Reports

World Bank, 2023. https://www.worldbank.org

World Health Organization.2020, Top 10 causses of death

Yang, Y., Zhou, L., Zhang, C., Luo, X., Luo, Y., & Wang, W. (2022). Public Health Services, Health Human Capital, and Relative Poverty of Rural Families. International Journal of Environmental Research and Public Health, 19(17), 11089.

ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი.დასაქმებისა და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში,2011

კაკულია, მ. კაპანაძე, ნ. ქურხული, ლ., 2017. ქრონიკული სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში, ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევა.

საქართველოს პარლამენტი.2018, კანონი სოციალური მუშაობის შესახებ

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე.საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ, 2005

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია, სოციალური სამუშაოს პრაქტიკის სტანდარტები.

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია. „სოციალური მუშაობის სიტუაციური ანალიზი“ . 2011.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. 2023, სიღარიბის მაჩვენებელი და ჯინის კოეფიციენტი

სამაგლიშვილი, შ. შეყრილაძე, ი. (2020). კონსულტირება სოციალურ მუშაობაში, ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება.

სამაგლიშვილი, შ. შეყრილაძე, ი. ნამიჭიშვილი, ს. მგელიაშვილი, მ. (2011). სოციალური მუშაობის მეთოდები დაუცველ ჯგუფებთან: პრაქტიკული სახელმძღვანელო.

სამაგლიშვილი, შ.,გიგინეიშვილი,ქ., ლეკიშვილი, ქ. (2022). კვლევა სოციალური მუშაობის სამუშაო ძალის შესახებ.

სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევისა და ფსიქომეტრიის ჯგუფი, მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA 2022, პირველადი ანგარიში)